№ 153 ივლისი 26, კვირა 1887 ივლისი 26, კვირა № 153

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიქვაიძის სტამბაში, ზ. ხიდდელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი
სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
1877—1887 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ პირველის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კ.

შინაარსი: ტფილისი, 25 ივლისი.— ახალი ამბავი. — დაბა-და-სოფელი: სოფ. ივრის-ხეობა.— ნარკვევი.— უცხოეთი.— წვრილი ამბები. — გასართობი.— დეპეშა. — საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.
ფელეტონი: ქართველთა შორის, სანოსი.

ტფილისი, 25 ივლისი

ვისაც საქართველოს ისტორიისათვის თვალი გადაუვლია, მის დედა-ძარღვისათვის ყურადღება უთხოვებია, ის ადვილად დაინახავდა იმასა, რომ ქართველები ადრე გამოსულან წარმატების სარბიელზე და მრავალი ძალ-ღონე უხმარიათ ბედნიერების დასამკვიდრებლად და შემაფერხებელ გარემოებასთან საბრძოლველად, წინ-წამოუყენებიათ გონების წარმომადგენელნი, რომელნიც თავიანთ და საერო სახელოდ იღწოდნენ საერთო საქმისათვის. ისინი ემსახურებოდნენ ქვეყანას არა მარტო ხმლითა, არამედ სწავლა-მეცნიერების გავრცელებით და მოძღვრობით, და თუ რამდენად ღრმა და ძლიერი იყო მათი მოღვაწეობა, ამას მოწმობენ ჩვენის ძველის მწერლობის ნაშთენნი, რომელნიც გვიმტკიცებენ მაშინდელ სულის სიცხოველეს და მხნეობას. მართალია, დროთა ვითარება ხშირად შეუბრალებლად მუსრავდა ხოლმე როგორც მთელს ერს, აგრეთვე იმ გონებითის ძალთა წარმომადგენელს დასს და იმის ნამოქმედარს, მაგრამ იგი ძალნი ისევე იჩენდნენ ხოლმე თავს, როცა-კი ცოტათი მაინც შეღავათი მიეცემოდათ. მაშინდელი ინტელიგენცია უკანასკნელს საუკუნოებში თვით მეთვრამეტემდე ძალიან მისუსტდა და მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში გამოჩნდა მცირე დასი, რომელმაც ხელი მიჰყო სწავლა-განათლებისა და მეცნიერების აღორძინებას, მაგრამ არც აქ დასცალდა მძვინვარე მუსულმანთა ურდოთაგან...

შემდეგ დაგვიდგა ისეთი დრო, ესე იგი, მეთვრამეტე საუკუნე, რომელიც საზოგადოდ ადამიანს აძლევს საშუალებას ბედნიერება და კეთილ-დღეობა, ცოტად თუ ბევრად, მოიპოვოს; ეს ისეთი დროა, როცა ადამიანს შიში არა აქვს უეცრივ მტერთა შემოსევისა, სრულიად განადგურებისა, როცა მას შეუძლიან მშვიდობიანად იღვაწოს შინაურის ცხოვრების წარსამატებლად. ეს ის დროა, როცა მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას ასეთი ძლევა მოსილი გზა უჩანს კაცთა საბედნიეროდ, და როცა ამათის შემწეობით ერთა-შორისაც ცოტად თუ ბევრად გაძლიერებულმა კაცთ-მოყვარეობამ ფეხი მოიკიდა და მტრობა და მოსისხლეობა ურთიერთ შორის დააუძლურა და რამდენადმე დაიმორჩილა...

დაგვიდგა თუ არა ეს დრო, ქართველებმა ხმალი ქარქაშში ჩავაგეთ და საკუთარს სულიერს წარმატებას შევუდგეთ, ხელი მივყავით სწავლა-მეცნიერებას და თითქო გვინდოდა ჯერ გვეგემნა რა არის მეცნიერება, დაგვემყარებინა იგი მტკიცე საფუძველზე და მასზე აგვეგო ჩვენი ყოფა-ცხოვრება. მართლადაც ასე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამას მოითხოვდა დროთა ვითარება, რომელიც; როგორც ზემოდა ვსთქვით, ფართო გზას აძლევს მეცნიერებას, მწერლობას და ხელოვნებას.

შევასრულეთ თუ არა ყოველივე ისა, რის განზრახვაც უნდა გვქონოდეს? ამაზედ, ერთსა და იმავე დროს „ჰოც“ ითქმის და «არაც». „ჰო“ — იმისთვის, რომ წინ წამოდგა ამ უკანასკნელის ოც-დაათის, ოცის წლის განმავალობაში ევროპიულად განათლებულთა დასი, «არა» —იმისთვის, რომ იგი წინ წამომდგარი დასი ვერ ასრულებდა და ვერც დღეს ასრულებს იმ დანიშნულებას ინტელიგენციისას, რომელიც ჩვენ პირველს წერილში განვმარტეთ და დავადგინეთ. მართლადაც, ჩვენ შეგვეძინა „ევროპიულის სწავლა-განათლებით“ აღჭურვილნი თანამოძმენი, მაგრამ ამათ საზოგადო საქმეს ხელი ძალიან ნაგლებად შეუწყეს, დროთა ვითარების და თვისის დანიშნულების შესაფერი გონებრივი და ზნეობრივი ძალ-ღონე ვერ გამოიჩინეს ვერც ერთ საზოგადო საქმეში. პირ-იქით, იმათ უჩვენეს ქვეყანას თავისი უძლურება, სისუსტე, ზნეობრივი უღონობა და გონებრივი სიმჩატე, ერთის სიტყვით, ისინი ვერ ასწვდნენ იმ სიმაღლეს, რომელზედაც უნდა იდგეს ჭეშმარიტი ინტელიგენცია...

თუ მკითხველს განკითხვის თვალით შეუფარდებია ერთიერთმანეთისათვის ერთის მხრით ჩვენი ინტელიგენცია და მეორეს მხრით უსწავლელი ხალხი, იგი შენიშნავდა ერთს მოვლენას, რომელსაც ძალიან ძნელად შეხვდებით დაწინაურებულ ერთა ცხოვრებაში. თუ იმ უსწავლელს, სოფლის ხალხს დაჰკვირვებიხართ, თქვენ შეატყობდით, რომ იგი ხალხი გამჭრიახის გონების პატრონია, რომ იგი თავის სფერაში საკმაო გონებასაც იჩენს და პატიოსნებასაც. იშვიათი მაგალითი არ არის, როცა რომელიმე „განათლებული“ პირი, მდაბიო ხალხში მოქცეული, ჰგრძნობს თავის სისუსტეს და უძლურებას, იმის მაგიერ, რომ საპატიო ადგილი დაიჭიროს და გავლენა და ნდობა მოიპოვოს. თუ „განათლებულთა“ დასს დაჰკვირვებიხართ, ადვილად შეჰნიშნავდით, რომ მის შორის ძალიან იშვიათია იმის მაგალითი, რომ რომელიმე მათგანი თვით-მყოფელის და თავისებურის გონების პატრონი იყოს და თავისებურად გრძნობდეს და ჰგონებდეს, თითქო თავისით თქმასა და სჯას მოკლებული იყოს. ამ სახით მდაბიო ხალხი თავის კვალობაზედ უფრო ზედ-მიწევნილია, უფრო გამჭრიახეა თავის სფერაში, ვიდრე ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც ძალიან შორს უდგას თავის დანიშნულებას და თითქმის თავისი სფერაც ვერ მოუპოვებია ცხოვრების მოედანზედ.

ა. ნა—ლი

ახალი ამბავი

*** ტფილისში ამ ბოლოს დროს ძრიელ გახშირდა წვრილმან ვაჭრებთა შორის ერთ გვარი ავაზაკობა, რომელსაც აქაური სასამართლოები ვერას გზით ვერ მოჰრევიან. ტფილისში მოიპოვებიან ისეთი დედაკაცები, რომელთაც რის წვითა და დაგვით უშოვნიათ ერთი-ორი გროში და სურვილი აქვთ, რომ ეს ფული სარგებლით გასცენ. ამისთანა დედაკაცებს სუნით ეძებენ ტფილელი ბაყლები და მედუქნეები. გაუშლიან ხოლმე დიდრონს თანხებს, დაჰპირდებიან დიდს სარგებელს, მისცემენ დამტკიცებულ თამასუქებს და გამოართმევენ ფულსა. ზოგმა ავაზაკმა პირ-და-პირ ხელობად გაიხადა ამ ნაირად ფულის გამორთმევა. რაკი აჩვენებს საწყალსა და ავაზაკობაში გამოუცდელს ადამიანს, რომ დუქანიცა მაქვსო და პასუხის-გებაც შემიძლიანო, დედაკაცებიც ენდობიან ხოლმე. როცა ასეთი ავაზაკი მოჰკრეფავს საკმაო თანხას, მაშინ აილებს ხოლმე ვაჭრობის ბილეთს სხვის სახელობაზე, მომეტებულ ნაწილად ცოლის და ნათესავისაზე, და არის თავისთვის არხეინად. მოდიან დედაკაცები, ეხვეწებიან ჯერა, ემუდარებიან, მოგვეცი ჩვენი ალალი ლუკმაო, მაგრამ როცა ჰხედავენ, რომ იმათის ალალ ლუკმისათვის მაგრა ჩაუკიდნიათ ხელი მედუქნეებს და არ აპირობენ მიცემასა, მაშინ ეს საცოდავები გაემართებიან ხოლმე სასამართლოსაკენ. სასამართლო იძლევა „აღმასრულებელ ფურცელს“, მიჰყავთ ბოქაული, მაგრამ რა მიგიბარებია, რას ეძებ. ყველაფერი სხვის სახელობაზეა, მოდი და დააწიე რამ ამისთანა მოვალესა.

ფელეტონი

ქართველთა შორის

ქუთაისმაც ხმა ამოიღო.—„რა იქნება იმითანა“?—სიღნაღთან-კი ყველა ტყუის!—რას ემდური „პაროტნი ღრაჟდანინებს“?—იჯარით გაცემა ავადმყოფებისა.—გაფრენილი ქაღალდი.

თუ გახსოვს, მკითხველო, იმ კვირის ჩვენი საუბარი დავაბოლოვეთ შიშითა: ვაითუ ქუთაისელებს ძილი დაუფთხო მიწის-ძვრამა და ხომ დავიღუპენით-მეთქი.

ტყუილი არ გამოდგა ჩვენი შიში. აქამდის ძილი ერეოდა ქუთათურებს და ეხლა თითქო ქუთათურები მოჰრევიან ძილსა, აუწევიათ თავი მაღლა, მოუფშვნეტიათ თვალები და ქვეყნის ნათელს იმდენი ძალა მიუტანია, რომ კიდეც დაუნახავთ თითო-ოროლა რამ თავიანთ გარშემო. დაუნახავთ და კიდევაც გაჰკვირვებიათ—ეს რა ამბავია ჩვენს თავსაო! თანაც იმოდენა მხნეობა კიდევ შეჰრჩენიათ განუწყვეტელს ძილშია, რომ სხვებთანაც გამოხმაურება არ დაჰზარებიათ და მასთან საჯარო გამოხმაურებაცა.

ერთის სიტყვით, როგორც იყო, ქუთაისმაც ხმა ამოიღო. ძნელი მოსახერხებელი-კი იქნებოდა დუმილი გამოფხიზლების შემდეგ. აახილეს თუ არა თვალი, იმავ წამს ქუთაისის „საარაკო მტვერმა“ სული შეუხუთა, სინათლე დაუბნელა, პირი ამოუვსო შლამითა და მტვერ-ბუქით. მოდი და აქ გაუყუჩდი მტვერსა და ვაი-ვაგლახს! ღმერთო, შენითა! იქნება ამ მტვერმა ისე გააბრაზიანოს ქუთათურები, რომ ერთმანერთს ხელი-ხელს ჩაჰკიდონ და ძმურად გასწიონ საზოგადო უღელი თავიანთ ცხოვრების მოსამჯობინებლად.

მართალია, ჩვენებური კაცი ცოტა უკაცრაოდა ბძანდება სისუფთავეზე, ძნელად გაეღვიძება სურვილი თავის გალაზათიანებისა და უფრო ძნელად გამოიმეტებს რასმე ამისთვის. ისიც დიდად ჭეშმარიტია, რომ სისუფთავის დამყარებაში თაოსნობას იშვიათად გამოიჩენს ჩვენებური კაცი, მაგრამ არც ის არის ტყუილი, რომ თუ-კი როგორმე გამოჩნდება ისეთი ღვთისნიერი ადამიანი, რომელიც ან ხვეწნით, ან წაქეზებით და ან ძალ-დატანებით ჩააბამს რამდენსამე კაცსა ამისთანა საქმეში, უეჭველია, მაშინ გარიგდება რამ.

ღმერთმა უშველოს, დღეს ამისთანა ადამიანიც გამოსჩენიათ ქუთათელებს და ოთხი-ხუთი ქუჩა უკვე გაუსუფთავებინებია. ეხლა ზოგს იმედიცა აქვს, რომ იქნება ამ ადამიანმა მოახერხოს და, თავის მეცადინეობით, ერთს დღეს ქუთაისი ისეთ ქალაქად გადააქციოს, რომ იქ კაცს ეცხოვრებოდეს და შიშიც აღარა ჰქონდეს, რომ ან თვალის სინათლეს დავკარგამ მტვერისაგანაო და ან სადმე ტალახში ჩავიღრჩობიო, როგორც შარშან კინაღამ ერთი მთვრალი კაცი არ დაიღრჩო ტლაპოს მორევში დიდს ქუჩაზედა. ესეც კაი იმედია და, როგორც ჩვენი კაცი იტყვის, „იმედიც კაი საქონელიაო“.

**

რა კარგი რამ არის ზოგ-ზოგი საშინელი მოვლენა ბუნებისა! რომ არ გამოჰღვიძებოდათ ქუთათელებს, რა ეშველებოდათ? სულ დაიღუპებოდნენ. და იცით, რადა? თურმე ქუთაისის სასამართლოებმა ითმინეს-ითმინეს იქაური საარაკო მტვერი და საზღაპრო ტალახი. დიდხანს ითმინეს, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერს მოეღება ხოლმე ბოლო. სასამართლოთა მოთმინებასაც ის-ის იყო კინაღამ არ მოეღო ბოლო: ჰფიქრობდნენ—ბათუმში გადავსახლდეთ, იქ უფრო ნაკლებ დაგვტანჯავს ბუქი და ტალახი, იქიდამ ემართოთ გუბერნიის საქმეებიო.

ქუთათელებს ცოტა რო კიდევ სძინებოდათ, მოთმინება გაჰქრებოდა და გვიან-გაღვიძებული ქუთათელი ერთს მშვენიერს დღეს დაინახავდა, რომ მის ქალაქისათვის, რომელზედაც ჩვენს გლეხ-კაცს ლექსიც გამოუთქვამს:

რა იქნება იმითანა,
ამამავალი მზითანა—
გაღმა-გამოღმა ქალაქი,
ქუთაის მოედნითანა,—

ჰო, ამისთანა ქალაქისათვის თავი დაუნებებიათ ქუთაისის სასამართლოებს თავის მოხელეებით და გადასულან შორს, შორს, ბათუმისაკენ. ეს ნამდვილი ლახვარი იქნებოდა მისთვის.

ეხლა-კი, მგონი, ამის შიში აღარ უნდა იქონიოს ქუთათელმა, რაკი ქალაქის გასუფთავებაზე გული დაუდევია ქუთაისის პოლიციის უფროსსა. მეტყვით, როგორ თუ პოლიციის უფროსსაო, მაშ ქალაქის თვით-მმართველობა რიღას მოლარეა, რას აკეთებს ქალაქის გამგეობაო? ნეტავი მე თვითონ ვიცოდე, მართლა-და რას აკეთებს ქუთაისის გამგეობა, ვინ ღმერთ-გამწყრალი დაგიმალავდათ. მაგრამ ისე დაფარულ და „საკვირველ არიან საქმენი მისნი“, რომ აბა ამ სიშორეზე მე რა მეცოდინება, თქვენ რა გითხრათ. ვიცი მხოლოდ ისა, რომ გამგეობას უფრო ჭკუასთან ახლო უცვნია, თავიდამ აიცილოს ქუჩების სისუფთავე—რა ჩემი საქმეა ჭუჭყსა, მტვერსა და ტალახზე ვინაღვლოო, დეე, თითონ მცხოვრებლებმა იხეთქონ მაგაზე თავიო.

ვინ იცის, იქნება ქუთაისის გამგეობა მართლა ასე კატასავით ერიდებოდეს ტალახსა და მაშინ აღარც საკვირველია, რომ სხვისთვის მოუხვევია თავზე ამისთანა უმადური საქმე.

**

სულ ტყუილია სიღნაღისთანა ქალაქი. იმას არც გამგეობა ჰყავს და ვერც არავინ რას უსაყვედურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ თუ ამ ბოლოს დროს იკლო „კუტრობა“ მდიდრონ ვაჭართა შორის, სამაგიეროდ გაათკეცდა, გავრცელდა და გაძლიერდა ძალად კუტრობა წვრილ-ფეხა, ჭიყო-მიყო ვაჭრებში. ესეც დროების ერთი ნიშანთაგანია.

⁂ 23 ივლისს გამოსცადეს წყლის გამყვანი მილები გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის ქუჩაზე და შუაბაზარში. ბევრი ხალხი დასდევდა გამომცდელთ, რადგან ყოველი ტფილელი ჰგრძნობს მილის-წყლის მნიშენელობას ჩვენთვისა და ყველანი ჰშიშობენ, მართლა ცუდად ხომ არ გააკეთა ჩვენმა გამგეობამ მილის-წყალი, როგორც ხმებია დაყრილი ქალაქშიო. სიამოვნება ხალხისა დიდი იყო, როდესაც აღმოჩნდა, რომ ხსენებულს ადგილებში მილები ყველგან კარგი გამოდგა და წყალიც ღონივრად გადმოჩუხჩუხებდა.

⁂ 23 მკათათვეს ბულვარზე, რუსეთის სასტუმროს პირ-და-პირ, ორი კინტო გადმოხტა ეტლიდგან. ერთმა კინტომ უთხრა მეორეს: ფული შენ მიეციო.

— ეეი! რას გაუგიჟებიხარ. მე-კი არა, შენ უნდა მისცე.

— აი დარდი, თუ არ მისცემო, და პირველი კინტო ცოტა წინ გაჩანჩალდა.

—- ეჰეი! სად გარბიხარ, კაცო, მოიტა ფულიო, და გამოეკიდა უკან მეორე კინტო. წინამ მოუმატა სირბილს, უკანამაც საკმაოდ მოცოცხა და ასე და ამ გვარად გაუხვიეს ვიწრო ქუჩაში და გაჰქრენ სადღაცა. მეეტლე-კი შუა გზაში მიატოვეს გამოშტერებული.

⁂ მაგრამ კოკა სულ მუდამ წყალს ვერა ჰზიდავს—ერთხელაც იქნება გატყდება. სწორედ ასე მოუვიდათ კინტოებს. მუდამ ხომ იმათკენ არ იქნება გამარჯვება; სეტყვას ქვა დაჰხვდება ხოლმე. აგერა, 24 ივლისს, დილის ხუთ საათზე, რას შეეხეთქნენ გამარჯვებული კინტოები: იარმუკაში ჩაიარა ზალისელმა გლეხმა მიხა შავლაშვილმა თავის ცარიელ ურმით, რომლითაც კიტრი ჩამოეტანა. გამოვარდა ჯერ ერთი კინტო-ბაყალი და ჩაუყარა ურემში ერთი თაბახი ნაგავი. შენიშნა გლეხმა და უთხრა: „აბა, რათ მიყრი ურემში ნაგავსა, ვერა ჰხედავ შიგ საქონლისათვის თივა მიდევსო!“

— იმიტომ-რომ უნდა გადაჰყაროვო, უთხრა კინტომ.

ამ დროს მეორე ბაყალმაც მოიტანა ნაგავი და ჩაყარა ურემში. გადმოუხტა გლეხი, დააყენა ურემი და მრისხანედ შეუძახა: გადმოიღე შენი ნაგავიო.

— ეჰეი, დარდაკ! რის ნაგავი! წადი დაიკარგე იქით, თორემ ბევრიც მოგხვდება, აი.

— როგორ თუ მომხვდება? გადმოიღე შენი ნაგავი-მეთქიო, და მოჰკიდა ბაყალს ხელი. ბაყალმა შემოჰკრა ფერდში მუშტი. მაშ შემოკვრა ეგრე-კი არ უნდაო, წამოიძახა გლეხმა, გაუდგა გვერდზე ბაყალს და აწნა სახრეები მხარ-ბეჭებში. თუმცა ათი კინტო-ბაყლებიც შემოეხვია, მაგრამ ერთიც ვერ შეუვიდა სახრეში. მანამდინ სცემა ბაყლებს იფნის სახრით, სანამ სირცხვილისაგან კინტო-ბაყლები უკან არ გამობრუნდენ.

— უსამართლოს, შვილოსა, ჩვენშიაც უსამართლოდ ექცევიანო, შემოუძახა ბაყლებს გამარჯვებულმა გლეხმა და გაუდგა თავის გზასა.

⁂ ერთი მცხოვრებთაგანი დალოცვილ ტფილისისა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: „ამ დღეებში, ჩემდა საუბედუროდ, მე მომიხდა წასვლა მირზოევის აბანოში. მივაქცევ ყურადღებას ვისიც ჯერ არს, რომ მუშას, რომელიც მე ქისას მისვამდა, წარბი და წამწამი ჩამოცვივნული ჰქონდა სიფილისისა გამო. მე ეს შევნიშნე მხოლოდ შემდეგ, როცა გვიანღა იყო. ჩემის აზრით, აბანოს პატრონები მოვალენი არიან არ მიიღონ მექისედ ამისთანა გადამდებ ავადმყოფობით სნეულნი, რომ სხვებსაც არ გადაედოს ასეთი ვაგლახი სენი. მეტადრე მექისე უნდა იყოს სუფთა და საღი ადამიანი, რადგანაც ის ხელს უსვამს კაცს თითქმის ყოველს ასოზე და ადვილად გადასცემს თავის სნეულებას.

„ამასთან ისიც უნდა დავუმატო, რომ თუმცა აბანოში ნომრის ფასი საკმაოდ ძვირია, მაგრამ ისე უზრუნველად და ბრიყვულად ეკიდებიან მომსვლელთა, თითქო მათი სამუნათო იყოს ვინმე. მოსამსახურეს თორმეტჯელ უნდა დაუძახოს კაცმა, რომ ღირსი გახდეს მისის ხილვისა“.

შარშან ბ-ნმა ბახუტოვმა გასინჯა აბანოების მოსამსახურენი და მათში ცუდი ავადმყოფობაც აღმოაჩინა. ურიგო არ იქნებოდა, რომ დრო-გამოშვებით დაეთვალიერებინათ ხანდისხან ეს მოსამსახურენა და ამით დაეხსნათ საღის ჯანის-პატრონნი აბანოს განსაცდელისაგან.

⁂ კოჯორიდამ გვწერენ: აქ ამ ჟამად ძლიერ ხშირი წვიმები დაიწყო და თითქმის ყოველ საღამოსა სწვიმს. ქუჩები ისეთ საშინელ ტალახით არის აზელილი, რომ გამვლელ-გამომვლელი წვივებამდის ეფლობა ტალახში. აქაური მოაგარაკენი ეხლა ისე ნატრობენ ტფილისს, როგორც კვლავ მკათათვის სიცხეებში ჰნატრობდნენ კოჯორზე წასვლასა.

⁂ გაზ. „Тифлисскій Листокъ“-ი გვაუწყებს, რომ ვერის ხიდზე დაგებული ფიცარი თითქმის სულ გაფუჭებულია, ამოვარდნილი და დამპალი, ოღრო-ჩოღრო ადგილებს ბევრგან შეჰხვდებით. რა-კი ერთი ბეწო ადგილი ამოითხრება ხოლმე ამ ხიდზე, მერე თანდისთან გვერდებზე ეცლება სხვა ნაჭრებიცა და ადგილი იზრდება და იზრდება სწრაფადაო.

⁂ გაზ. „Московскія Вѣдомости“ გვატყობინებს ფრიად სასიამოვნო ამბავს ჩვენებურ ცხვრის პატრონთათვის. რადგანაც კავკასიაში არ ირეცხება მატყლი, ამიტომ ძრიელ იაფად იყიდება. გააქვთ სამზღვარ-გარედ და იქ გაცილებით ძვირადა ჰყიდიან, გარეცხვის შემდეგ. გარეცხვა-კი მაგდენი არა ჯდება-რა. ამის გამო ინგლისის მოავჭრეთ მიწერ-მოწერა გაუმართავთ თუშთა ფულიან კაცებთანა: გვირჩიეთ, სად უფრო სარფა გვექნება, რომ მატყლის გასარეცხი ქარხანა გავმართოთო. ფულიან თუშებს უჩვენებიათ ზაქათალა, როგორც უკეთესი ადგილი ამ საქმის დასაწყებად.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ივრის-ხეობა, ივლისის 23-ს. ივრის-ხეობაზე სცხოვრობს თითქმის 3.000 მოსახლე სოფლები. აქ კარგა შორი-შორს არის ერთმანერთზედ და თითოეული მათგანი სხვა-და-სხვა წარმოებას მისდევს. ერთს სოფელში რომ კარგი ღვინო მოდიოდეს, მეორეში პური ნაკლები მოდის, მესამეში კიდევ ღვინო ნაკლები მოდის და პური მომეტებული. ივრის-ხეობაზედ შესანიშნავია უფრო სამი სოფელი: ხაშმი, პატარძეული და საგარეჯო. ხაშმი გარეშემო თითქმის სულ მთებით არის შემოზღუდული. აქ ჭაერი თავისუფლად ვერ მოძრაობს; ამას ზედ ერთობა ივრის გარეშემო მდებარე ჭაობების ჭაერი. ეს არის მიზეზი, რომ ხაშმი ციებ-ცხელების ბუდე იყო, მეტადრე ამ ათიოდე წლის წინად. ეხლა-კი სოფელი თითქმის გამოიცვალა. ჭაობები გააშრეს, სახლებიც გადაიტანეს აღმოსავლეთისკენ მაღლობ ადგილზედ, სადაც ჭაერი თავისუფლად მოძრაობს და ჭაობებსაც დაშორებულია, ასე რომ დღეს ციებ-ცხელება, ცოტა არ იყოს, აგრე ხშირად და საგრძნობლად აღარ აზიანებს ხაშმელებს, როგორც ამ ათისა და თხუთმეტის წლის წინად.

რაც ამ სოფლის პურის და ღვინის მოსავალს შეეხება, უნდა მოგახსენოთ, რომ მეტადრე ღვინო ხაშმური არ დაუვარდება სრულიად ნამდვილს კახურ ღვინოს და კარგ ფასადაც იყიდება. ხშირად აქ საპალნე (შვიდი კოკაა ქართლური) ათის თუმნიდგან თხუთმეტ თუმნამდე და ხანდის-ხან ოცადაც იყიდება ხოლმე. მიზეზი ამისა ის არის, რომ წყალი უხვადა აქვთ ხაშმელებს და შეუძლიანთ ხაშმელებს, თუ საჭიროება მოითხოვს, მთელი იორი შიგ შუა სოფელში გამოიყვანონ; ახლა ნიადაგი, ჰავაც ხელს უწყობს ამ მრეწველობას და თითონ ხაშმელებმაც კარგად იციან ვაზის ხელი. წელიწადში ოთხჯელ ახვევენ, სამჯერ სთიბვენ, ხშირად რწყვენ და ყურძენს ღვინობისთვემდის არა ჰკრეფენ, ვიდრე კარგად არ დამწიფდება. როდესაც ივრის-ხეობის სხვა სოფლებში მაჭრობაა, ხაშმლები ქვევრების რეცხვას მაშინ შეუდგებიან ხოლმე. აი ეს არის თავი და თავი მიზეზი, რომ ხაშმური ღვინო კახურს ღვინოს უდრის ღირსებით.

პურის მოყვანას ხაშმლები აგრე ერთგულად არ მისდევენ, როგორც ღვინის მოყვანას, და ნაკლები მოსავალიც იცის ხაშმურმა მინდორმა, ვიდრე, მაგალითად, პატარძეულისამ, თუმცა ეს მინდვრები ერთ-ერთმანერთზეა გადაბმული. ხაშმლები მთელს თავის შრომას და მეცადინეობას მარტო ვენახებს და ბაღებს ანდომებენ. მართალია, პური საკმარისად მოდის ხაშმში, მაგრამ აქაური გლეხი თავის დღეში პურს იმდენს ვერ მოიყვანს, რომ თითონაც საკმარისად დარჩეს და გაყიდოს კიდევაც რამდენიმე კოდი. იგი ზოგჯერ კიდევაც ყიდულობს ხოლმე, მაგრამ, რაც შეეხება ღვინოს, ხაშმელი გაკეთებული გლეხი ოთხმოც-სამოც და მეტის თუმნისას გაჰყიდის კარგ მოსავლის დროს. ხაშმლები გარდა ღვინისა ცხვრის და ღორის მოშენებასაც საკმარისად მისდევენ. ურემზედ და ხარ-კამბეჩზედ შეეტყობა ხაშმელ გლეხს. დიდრონი, დასუქებული ხარ-კამბეჩი, რკინა - გადაკრულ თვლებიანი მაგარი ურემი, აი რითი იცნობა გზაში ხაშმელი მეურმე. რაც შეეხება თითონ ხაშმელ გლეხს—მხიარულია, რიგიანი მოლაპარაკე, დიდის ფანტაზიის პატრონი, მაგრამ ცოტა ლაღი და რბილი საქმეში.

—

ოთხისა თუ ხუთის ვერსის სიშორეზედ აღმოსავლეთისკენ სძევს სოფ. პატარძეული, რომელსაც იმ გვარივე მდებარეობა აქვს, როგორიც ხაშმს, მაგრამ პატარძეულს უფრო მაღლობი ადგილი უჭირავს, მდინარე წყალი არა აქვს და ჭაობების ხსენებაც არ არის აქ სრულიად. აქ ჰავა ჩინებულია და მშვენიერი ცივი წყაროები თითქმის ყველა უბნის ვენახებში გამოდინარეობენ. აქაურ ღვინის და პურის მოსავალზედ იგივე არ ითქმის, რაც ხაშმისაზედ. რამოდენადაც ხაშმლები ბაღოსნობას და ღვინის დაყენებას დიდის მეცადინეობით მისდევენ და ჩამოჩრომილნი არიან ხვნა-თესვას, იმოდენად პატარძეულნი თავის შრომას და მეცადინეობას ანდომებენ უფრო ხვნა-თესვას. მართალია, ღვინო აქაც ბევრი მოდის, მაგრამ აქაური ღვინო ბევრად ჩამოუვარდება ხაშმურ ღვინოებს, თუმცა ესენიც ვაზს ერთგულად მუშაობენ. თავი და თავი მიზეზი, რომ პატარძეულში ჩინებული ღვინოები არა

არის თავისთავის დედამიწის ზურგზე. არცა-რა იმას გაეგება ქვეყნიერობისა და არცა-რა ქვეყნიერობას გაეგება იმისი. ლაზათიან მთებს დასწოლია ზევიდამ, დაჰპატრონებია იმ ქვეყანას, რომელსაც უწინ ეძახოდნენ კამბეჩოვანსა, და აბა რიღას დარდი უნდა ჰქონდეს: სასმელ - საჭმელი ბუნებას იმისთვის უხვად გადუშლია თავის კალთაზე, იქვე ბაღები, წყაროები, ბევრი ხილი და მრავალი რაგინდარაობები. სხვა რაღა უნდა კამბეჩოვანის ქალაქსა. ერთი „პაჩოტნი ღრაჟდანინები“ აკლდა ძველ დროსა და ეხლა, მთავრობის წყალობით, აღარც ამაზე შეაკლდება გული და სიმშურნეს არ აღძრავს სიღნაღელებში სხვა ქალაქების ბედნიერება ამ მხრით: „პაჩოტნი ღრაჟდანებით„ სავსეა კამბეჩოვანის ქალაქი. მერე რა „პაჩოტნი ღრაჟდანინები“, რომ ერთი იმათი დანახვა ერთ რამედა ღირს!

მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, თითო-ოროლა მეტიჩარა ყველგან უნდა გამოტყვრეს ხოლმე. აი ეხლაც სიღნაღი, გაამპარტავნებულ-გაამაყებული და თავ-მოწონებული თავისის ღირსეულ „პაჩოტნი ღრაჟდანინებით,—ჰოეთი ბედნიერი სიღნაღი თავისთვის განცხრომაში იყო და დაჰხაროდა მშვენიერს კახეთის ზაფხულსა. ზურნა, დიმპლიპიტო, სალამური, ლეკური დაირით, წითელი ღვინო პატარ-პატარა ტიკჭორებში, ერთის სიტყვით, ქეიფი და დროს გატარება გაჩაღებული იყო სიღნაღის ბაღებში, იქიდამ დაწყობილი, რაკი ერთი სითბო ჩავარდა ქვეყანაში და მწვანე ბალახით აბიბინდა მთა და ველი, ვიდრე აქამომდე. ბოლოს დროს-ში ვიღაცა ტფილელნი და კიდევ სხვა უცხოელნი ესტუმრნენ ამ ზაფხულს სიღნაღელთ. მოგეხსენებათ, დაუპატიჟებელი სტუმარი მტერზე უარესიაო. ასე სიღნაღელებს მოუვიდათ. დარბაისლობის გამო, მეტი რა გზა ჰქონდათ, უნდა დაჰხვედროდნენ სტუმრებსა. დაჰხვდნენ კიდეცა და კაი მასპინძლობაც გაუწიეს, მაგრამ ტყუილად-კი არ არის ნათქვამი:

გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძღომელი!

ვერაფრით ვერ მოუგეს გული თავიანთ სტუმრებს, ვერაფრით ვერ მოაწონეს თავი: „ჭამა-სმით ჩვენ ვერ გაგვაკვირვებთო“.

— ვეჰო, ამაზე კარგი სხვა განა არის რამ დუნიაზედაო? ჰკითხეს კამბეჩოვანთ.

— „დიახაც არისო, უთხრეს სტუმრებმა. მაგოდენა ხალხი ხართ, ბარე ათი-ათას სულამდე მოგიყრიათ თავი ერთს ქალაქში და აქამომდე ერთის საცოდავ სასწავლებლის მეტი არა გაბადიათ-რა, ისიც მთავრობისაგან დაარსებული, თორემ თქვენ თავად მაგასაც არ გაიმართავდით. ქალების-თვის ხომ სრულებით არა გაქვთ სასწავლებელი. თითო-ოროლა მადლიანი ქალი თუ გამოჩნდება ათასში ერთხელ კუდიან ვარსკვლავსავით, აიყვანს თქვენს ქალებს, ასწავლის, ვინემ თქვენ თვითონ არ გააძევებთ აქედამ, ან ვიდრე არ გათხოვდება და არ დაგეხწევათ, თქვე ჯანჯლებო, თქვენა. და კიდევ გინდათ, რომ ვისიმე გული მოიგოთ, რაღა. თქვენ ფულის მოგებაში გაქვთ შნო და გულის მოგება-კი თქვენი საქმე არ არისო.“

აბა, მოდი და ამისთანა ხალხს გაუმასპინძლდი,

მოდი და ენდე სოფელსა,
ხრვისგან მიუნდობელსა!

**

აბა, ერთი კაცმა იკითხოს, რაზე ჩაუმწარეს ცხოვრების სიტკბოება პატიოსან „პაჩოტნი ღრაჟდანინებს“! სასწავლებელი არა გაქვთო, ქალებს არ ასწავლითო. კამბეჩოვანის ქალაქელები მუდამ ქვეყნის სამასხარო საქმეს ჩაიდენთ ხოლმეო.

ჯერ ერთი ესა, რომ ამისთანა სიტყვებს ჭკვიანი კაცი არა ჰკადრებს „პაჩოტნი ღრაჟდანინებს“, სხვა არა იყოს-რა „პაჩოტნი ღრაჟდანინები“ არიან. მეორეც ისა, რომ სიღნაღელებს თავიანთი ღრაჟდანინობა თავის წონა ოქროდ უღირთ, და თუ-კი ადამიანს ღრაჟდანინობის წონა ოქრო ხელთ უგდია, იმას ალბად საკუთარი ჭკუაც სამყოფი ჰქონია და რაღად უნდა სასწავლებელი, ვაჟისა იქნება თუ ქალისა, და მეტადრე ქალისა!

ბევრნი ხართო, ათი-ათასს კაცს თავი-თავ მოგიყრიათ ერთ ადგილასაო, დიდი ვაჭრობა გაქვთო. ღმერთმა ამრავლოთ, მტრის თვალების დასაყენებლად. რატომ არ იქნებიან ბევრნი. ჩემმა ღმერთმა, საპატარძლო ქალები არ მოეძებნებათ, ან, მე ვიცი, ვაჟკაცებში ექნებათ ნაკლებულება-თუ! ისეთი ჯან-მრთელი ქალები იცის სიღნაღში, რომ ორ-ორი ღუჟინი შვილების ყოლაც ნუ გშურთ იმათთვის. ვაჟები ხომ სულ სამის წლის კვიცებივით დაჰჭიხვინებენ სიღნაღის ქუჩებზედ. რატომაც არ გამრავლდებიან! კიდეც უნდა გამრავლდნენ და ფულიც ბევრი ატრიალონ. ღმერთმა შეაძლებინოთ. რადა გშურთ, თუ თქვენ კაი კაცები ხართ და კაი სტუმრობა შეგიძლიანთ. რა გკლამთ თქვენა!

თუ არა და, მადლობის მაგიერ, მოჰყოლიხართ რაღაც კიცხვა-კილვასა და სამდურავებს. მერე რა უნდა გასჭრას თქვენმა სამდურავმა! ჩემის აზრით, ნირსაც ვერ უცვლის კამბეჩოვანთ. სიღნაღელი „პაჩოტნი ღრაჟდანინი“, რო დაიხოცნეთ, არ უმტყუნებს თავის ვარსკვლავს. ან რად დაგვიწყებიათ, რომ

ზოგს კაცსა საკმლად მიუჩნს
თვისი სიმყრალის სუნიო,

და კამბეჩოვანს რო ქვეყნის დიდებად, პირველსა და უკანასკნელ ბედნიერებად და საკმლის სუნად თავისი «პაჩოტნი ღრაჟდანინობა» მიაჩნდეს, მითამ ან რა გასაკვირველია და ან რა არის აქ დასაძრახისი!

მოდით თქვენა და ელაპარაკეთ წინდაუხედავს და ბაიყუშს კაცსა. აფსუს ის ტიკჭორავ, რომელსაც ამისთანა სტუმართ გულისთვის მოჰხსნეს პირი სიღნაღელებმა!.. მახლას!..

**

დგება, გარდა თითო-ოროლა მაგალითისა, ის არის, რომ აქ ვენახები ურწყავია. ეს კიდევ არაფერი. პატარძეულელები რომ დაადგნენ ყურძნის დამწიფებას, რიგიანად გარეცხდნენ ქვევრებს, მაშინ აქაური ღვინოც ხაშმისაზედ ნაკლები აღარ იქნება. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ პატარძეულელი ღვინო შემრგოა და კაცს ჯან-მრთელობას არ უსნეულებს, როგორც ხაშმური მაგარი ღვინო.

პატარძეულელ გლეხზედ იგივე არ ითქმის, რაც ხაშმურ გლეხზედ ვსთქვით. პატარძეულელი გლეხი ერთგული მუშაა თავის მიწისა, ძრიელ ცდილობს ოჯახის გამოკეთებას და მზად არის ყოველგვარ საკეთილო საქმეს მოჰკიდოს ხელი, ოღონდ დაუფასდეს შრომა. აქაური გლეხი ჯან-საღია, გულადი, პურადი, მოყვარე თავის მიწა-წყლისა; კარგი მომღერალი, მომკალი, მოჭიდავე უნდა პატარძეულიდგან გამოვიდეს. გარეგანის შეხედულობით თითქმის ხაშმელს ჰგავს, მხოლოდ ცოტა ტანოვანია და გამჭრიახი, უშმაკო და ზნეობა დაცული. ამისი მიზეზი პატარძეულის უდუქან-ბაზრობა არის. აქ არის მხოლოდ პატარა დუქანი, ერთი სოფლის თავს და მეორე ბოლოში. პატარძეულელნი გარდა ხვნა-თესვისა და ღვინის მოყვანისა მისდევენ აგრეთვე ძროხის, ცხვრის და ღორის მოშენებას, რადგანაც კარგი იალაღი აქვთ. აქაური გლეხი ხაშმელ გლეხსავით მარტო ღვინოს და შეშას არა ჰყიდის; ესენი ძრიელ ბევრს ჰყიდიან, როცა კარგი მოსავალია, პურს, თივას, ქერს, ბზეს, შეშას და სხ. დედაკაცები ჰყიდიან ქალაქში წინდა-პაჭიჭს, ლობიოს, ნიორს, ცოცხს, ქათამს, კვერცხს და სხ.

—

საგარეჯო სულ სხვა სოფელია. იგი გაშენებულია ერთს პატარა ხეობაზედ, რომელსაც თვალთ-ხევს ეძახიან. აქ წყლები უხვად არის. სოფელში მრავალი ხილიანი ვენახებია ასე, რომ შორიდგან რომ შეხედოს უცხო კაცმა, საგარეჯო დაბურული ტყე ეგონება. საგარეჯო გარეგან შეხედულობით მართლა და რომ მშვენიერი სოფელია, თითქმის დაბაა. ამ სოფელში 900 მოსახლეა. სამი მეოთხედი ქართველობაა და ერთი მეოთხედი სომხობა. ოთხი ქართველის მღვდელია, ერთი სომხისა; აქ არსებობს აფთიაქი, ბანკი, დეპო, ორ-კლასიანი სკოლა, პურის მაღაზია და სხ. პურისა და ღვინის მოსავალი საშუალო იცის. მაინც გარეჯელები ასე ერთგულად არ ეკიდებიან ვენახებს, როგორც ხაშმელები. არც ხვნა-თესვას მისდევენ ისე, როგორც პატარძეულელები. ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც აქ რიგიანად მოსავალი აღარ მოდის. ამ გარემოებამ უფრო გული აუცრუა ხალხს ხვნა-თესვაზედ. მინდორი ხშირად ისეტყვება. უმეტესი ნაწილი გარეჯულის მინდვრისა სარწყავია. წვიმიან წელიწადებში აოდავს ხოლმე და ახდენს მოსავალს. მინდორი გარეჯელებს შორსა აქვთ, ღარიბ გლეხს ძრიელ უჭირდება ხვნა და გაკეთებულებიც ბევრს აღარა ხვნენ. გარეჯელები უფრო ძროხის და ცხვრის ყოლას მისდევენ, რადგან იალაღი ხელს უწყობს. თითონ ხალხი არ არის ძრიელ ღარიბი, მაგრამ ცოტა არ იყოს ლაღია, ამაყი, პირის პატივს მისდევს. ამათი გამაღარიბებელი უფრო ბაზარია, სადაც ესენი ხშირად შეიყრებიან და მთელი დღე უსაქმობაში ატარებენ ხოლმე. ვაჭრობას აქ უფრო სომხები მისდევენ. გარდა ვაჭრობისა, ესენი ერთგულად მისდევენ ვენახების მოვლასა და ხვნა-თესვასაც.

—

საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ივრის-ხეობა საკმაოდ მდიდარი ხეობაა. აქ ყველაფერი უხვად მოდის. იალაღი დიდია, ხალხი მხნეა, ქალაქი ახლოა და ეს უკანასკნელი გარემოება დიდს შეღავათს აძლევს ივრის-ხეველებს. ისინი ქალაქში ყველაფერს კარგ ფასად ჰყიდიან. რასაც ქალაქი საჭიროებს, ივრის-ხეველებს ყველაფერი უხვად ჩააქვთ. აი ეს არის მიზეზი, რომ ივრის-ხეველების ნივთიერმა მდგომარეობამ საკმარისად წინ წაიწია, მეტადრე ამ ხუთ-ექვს წელიწადში. ამ ექვსის წლის წინად ივრის-ხეობაზედ იშვიათი იყო ქვითკირის სახლები და ეხლა-კი ძრიელ მრავალია. ჩვენი სოფლები შორიდგან პატარა ქალაქებსა ჰგავს. ყველა უბანში ორი-სამი ქვითკირის სახლია კრამიტით დახურული და საგარეჯოში, პატარძეულში და ხაშმში ხომ ორ-სართულიანი ქვითკირის სახლებიც ბლომად არის.

სწავლა-განათლების საქმე ჩვენ ხეობაზედ საკმარისად კარგად მიდის. ივრის-ხეობაზედ ექვსი სასოფლო სკოლა არის: ხაშმში, პატარძეულში, საგარეჯოში, გიორგი წმინდაში, მანავში და კახეთში. ხუთი სკოლა თითო-კლასიანია და საგარეჯოში-კი ორ კლასიანი.

—

ორიოდე სიტყვა წლევანდელ ჭირნახულის და ღვინის მოსავალზედ. წელს ივრის-ხეობაზედ კარგი მოსავალი არის ჭირნახულისა. დროული გლეხები ამბობენ, რომ წლევანდელ ყანებისთანა პურიანი ყანები დიდი ხანია არა ყოფილაო და თან ამასაც უმატებენ, რომ წლევანდელივით ვენახები დიდი ხანია არ დანაცრულაო. ჭირნახულის მოსავალი-კი დიდია წელს ივრის-ხეობაზედ: თუ აქამდინ სამს ათეულს ერთი კოდი გამოსდიოდა, წელს ერთს ათეულს გამოსდის კოდი. ყანები დაიმკო. შინაც მოზიდეს, მაგრამ დღემდის ვერ გაულეწიათ. ამისი მიზეზი უამინდობაა. თიბათვე-მკათათვე ისე გადის, რომ რიგიანი ზაფხულის დღე არა ყოფილა, დილით ცა მოღრუბლულია, შუადღისას პატარა დაცხება, საღამოთი-კი დაუშვებს წვიმას და გათენებამდის სწვიმს ხოლმე. ორი სამი დღე ძნები და კალოები ძლივს შრება. გაშრება თუ არა, ჩაუშლიან; ხელ-მეორედ მოიღრუბლება ცა და საღამოზედ ისევ სწვიმს. ასე და ამ გვარად გავიდა თიბათვე და გადის მკათათვეც. ჩვენში ჯერ ხეირიანად კალოები არ შეუბამთ; ვინც შეაბა, ვერც გალეწა და ვერც განიავა და დღესაც შიგ კალოში უყრია. დგა გულ-ხელ დაკრეფილი გლეხი და შესცქერის ჩახურებულ ძნას და ვეღარც სხვა საქმისათვის მოუკიდნია ხელი. აი დღეს, აი ხვალ და ამასობაში ზაფხულიც გადის. ვნახოთ მარიამობისთვე რას მოგვიტანს...

არამც თუ მარტო ივრის-ხეობის ვენახებია დანაცრული, შიდა კახეთშიაც-კი თურმე ძალიან დაუზიანებია ნაცარს ვენახები. ჯერ სეტყვა, ახლა ნაცარი, ჯერ ნაცარი, ახლა სეტყვა—აი რა დაემართათ წელს ჩვენ ვენახებს. სწორე მოგახსენოთ, ერთსა და იმავე დღეში არიან ვენახები და ძნებიც.

—

ქურდობა ივრის-ხეობაზედ არამც თუ მოისპო, უფრო კიდევაც გახშირდა. თუ აქამდინ მულაძნო, თაქლარი, ყარაჯელები არ გვასვენებდნენ, ეხლა ჩვენი მეზობლები უარეს დღეს გვაყენებენ. კვირა არ გავა, ცხენები, ძროხები და სხვა საქონელი არ დაიკარგოს. გასაკვირველი ეს არის, რომ ქურდებს პოულობენ, იჭერენ, გზავნიან, სადაც რიგია, მაგრამ ერთს კვირას უკან იგივე ქურდები უარესს სჩადიან. ერთმა სოფლის მოხელემ აი რა მითხრა, როდესაც მე დავეკითხე, ქურდობის მოსპობას რატომ არა ცდილობთ-მეთქი: ქურდებს ვიჭერთ, მაგვიდის, სადაც რიგია, მაგრამ ისევ მალე უკანვე გვიბრუნებენო. ნეტა რა უნდა იყოს ამისი მიზეზი?..

ნიკო ლ—ძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„ბნელია ზედა უფსკრულთა და სული ბისმარკისა იქცევა ზედა სახელმწიფოთა“. აი, რა უნდა სთქვას კაცმა, რომელიც ამ ბოლოს დროს თვალ-ყურს ადევნებს გაზეთებს და უნდა გაიგოს რამე დღევანდელის პოლიტიკისა. ისეთი სიბნელეა, ისეთი წყვდიადია, რომ თვალთან მიტანილი თითი აღარა სჩანს.

ეგონათ, რომ ფერდინანდ კობურგისა მიიღებს ბოლგარიის მთავრობას და საქმე გაკეთდებაო, მაგრამ დღესაც კიდევ არავის შეუძლიან გადაწყვეტილი სთქვას, თანხმდება თუ უარს ამბობს ეს პრინცი.

კობურგის პრინცმა გაიცრუა იმედი ბოლგარიის ერისაო, ამბობენ შუა-ევროპის გაზეთები და მათ შორის „პეშტის ლლოიდიცა“. პრინცმა თავისი საქმე თავადვე გაიფუჭა და ეხლა აღარა ეშველება-რა. ბოლგარებმა როცა ეს კაცი აირჩიეს მთავრად, იმისი იმედი ჰქონდათ, რომ პატარა გულადობას გამოიჩენს, ხელს მოჰკიდებს ქვეყნის მართვას და მერე ხმას ვეღარავინ გასცემდა. ვერ გასცემდა იმიტომ-რომ საყოველთაო ომისა მოერიდებოდა. ფერდინანდისათვის მხნეობა იყო საჭირო და გამბედაობა, სხვა ყოველივე თავის თავად გაკეთდებოდა შემდეგში. როგორ-ღა უნდა ყოყმანობდეს და გაუბედაობას იჩენდეს კაცი, როცა ერი იწოდებს დიდის საქმისათვის—მოდი და ჰმართე ქვეყანა, სავსე სიკეთით, სავსე სიუხვით, სავსე მამულის-შვილობითაო.

სხვა გაზეთები კიდევ ავსტრიისა და გერმანიისა იმას ამბობენ, რომ ფერდინანდის წასვლა ბოლგარიაში ჯერ კიდევ უიმედო საქმე არ არისო. რომელს ერთს დაუჯეროს კაცმა? როდის გათავდება ეს დაუსრულებელი ამბავი? ამის პასუხს ძნელად მოსძებნით დღეს.

**

ათასში ერთხელ გაისმის ხოლმე ევროპაში ხმა კეთილ-გონიერისა და კაცთ-მოყვარე მოღვაწეებისა სახელმწიფოთა შორის ომის მოსპობის თაობაზედ, მაგრამ ეს ხმა აქამდე ამაოდ მღაღადებელ ხმადა რჩება. აი ამ დღეებშიაც მარკიზ ბრისტოლს შეუტანია წინადადება ლორდთა პალატაში და ის აზრი გამოუთქვამს, რომ სასურველია დაარსდეს საერთა-შორისო უზენაესი სამართალი მედიატორეთა სხვა-და-სხვა დავისა და უსიამოვნობის გადასაწყვეტად სახელმწიფოთა შორისაო.

ამაზე ლორდ სალისბერის უთქვამს:

მარკიზ ბრისტოლის განზრახვა თანაგრძნობის ღირსი განზრახვაა. რა იქნება იმაზე უკეთესი, რომ დაარსდეს ისეთი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს ააცალოს ქვეყანას ომი და სისხლის-ღვრა. მაგრამ ასრულება ამ განზრახვისა მეტად ძნელია, ან კი როგორ დაწესდეს უზენაესი სამართალი. ვინ იქნებიან ისეთნი, ვინც სახელმძღვანელო კანონებს დაადგენენ ამ სამართლისათვის? ან ვინ იქნებიან აღმსრულებელნი ამ გვარის სამართლის გარდაწყვეტილებისა?

სალისბერიმ ურჩია მარკიზ ბრისტოლს, უკან წაეღო თავისი წინადადება, რადგანაც, ათასიც რომ ვისურვოთ მედიატორეთა სამართალის დაწესება, მაგ სურვილს არავითარი პრაქტიკული ნაყოფი არ მოჰყვება ჯერ-ჯერობითაო.

**

თითქმის ამ გვარივე სიტყვა მშვიდობიანობის დაცვის სასარგებლოდ წარმოუთქვამს შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზიდენტსა. „Новости“ ამბობს, რომ მხოლოდ შვეიცარიაა დღეს ისეთი ბედნიერი ქვეყანა, რომელსაც შეუძლიან ასე ილაპარაკოსო.

დღევანდელი გაჭირვება ევროპისა იმას არ აწუხებს. მან დაიცვა თავისი თავისუფლება, შეიძინა საკმაო განათლება და ქონება. რესპუბლიკის პრეზიდენტს იმედი აქვს, სამუდამო მშვიდობიანობა და სათნოება დამყარდეს კაცთა შორის. ევროპის

სულ ყველა-ყველა, მაგრამ ამ ოზურგეთს რაღა დაჰმართეია. ეთქვათ, სიღნაღელებს არ უნდათ სწავლა, რადგან უიმისოდაც დიდი ჭკუის პატრონები არიან, და ამიტომ არც სასწავლებლებზე ნაღვლობენ. ოზურგეთში რაღად აუკრძალეს ექიმს ბ-ნ ერისთავს, ნუ სწამლობ ავადმყოფებსაო. თუ ექიმი სწამლობს ვისმე, ალბად ავადმყოფსა სწამლობს, თორემ ჭკვათამყოფელი საღი ადამიანი რად მიჰმართავს მკურნალობასა. და თუ ავადმყოფები არიან, მაშ რატომ არ უნდა უწამლოს კაცმა, რომელსაც ექიმობის სწავლა მიუღია, წამლობის ნებაც დართული აქვს და ავადმყოფებიც ეპატიჟებიან. იმ დღევანდელს აქედა ეფიქრობ ამაზე, ვიტეხ თავსა და ვერა გამიგია-რა. არ ვიცი, იქნება ჭკუას ძალა დავატანე და იმიტომ ვერ გავიგე და იქნება თვით ეს საქმე-კი ისეთი სადა და ადვილი გასაგები იყოს, რომ ფიქრადაც არა ღირდეს. ერთის სიტყვით, მე კი არ ვიცი, არ ვიცი და კიდევ და კიდევ არ ვიცი, არ მესმის. ხან რა ვიფიქრე და ხან რა, მაგრამ არც ერთი არ დამიჯდა ჭკვაში. ეგებ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდეს და ამიხილოს თვალი.

ჩემ თავად-კი მე ჯერ ეს აზრი მომივიდა. შეიძლება-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავსა—როდესაც ბ-ნს ერისთავს გამოუცხადეს, არამცა და არამც არავის უწამლოვო, ასეთი მოსაზრება ედოთ წინ: ექიმობა მაინცა და მაინც ჯერ არ ასულა იმ სიმაღლეზე, რომ ერთის შეხედვით ავადმყოფებსა ჰკურნავდესო. ექიმობა ჯერ-ჯერობით მხოლოდ შეღავათს აძლევს ავადმყოფს და მარტო მსუბუქ სატკივარებს არჩენსო. გაძნელებულ სატკივარს ბევრი ექიმი გაექცევა ხოლმე, თუ პატიოსანია, და, თუ არა არის მაგრე რიგად პირ-ნათელი თავის სინიდისთან, ალალა-ბედზე სწამლობს ხოლმე ავადმყოფსაო, არც მეტი და არც ნაკლებიო. გარდა ამისა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ თვით ექიმები არ ენდობიან ხოლმე საკუთარს გამოცდილებასა, ჰგონიათ—ეგებ ჩემმა ამხანაგებმა უკეთ იციან საქმეო, და კიდეც მიჰმართავენ ხოლმე სხვებს, როდესაც თითონ გახდებიან ავადაო. ასეთი საქმე იმ თავითვე ემართებათ ხოლმე ექიმებსაო. აკი ამ რვა საუკუნის წინად რუსთაველმაც გვიმოძღვრა:

რა აქიმი დასნეულდეს,
რაზომ გინდა საქმარი,
იმან სხვა იხმოს მკურნალი
და მჯავს შემატყობარი.

ჰო-და, თუ-კი ექიმების ბედი ამ ყოფაშია და მკურნალობა მაგდენად სახარბიელოს არას წარმოადგენს, მაშინ არც მაგრე რიგად საჭიროა ხალხისათვის მკურნალობაო, ალბად ჰფიქრობდნენ იგინი, ვინც ბ-ნს ერისთავს ხელი შეუშალა. ვინც მოსარჩენია, ხომ თავისითაც მორჩება, უწამლელად, ვინც მოსაკვდომია და,უმისოდაც მოკვდებაო, როგორც გოგოლის გმირები ამბობენ „რევიზორში“.

ვინც ასეთის თვალით უყურებს ექიმობას, იმან უსიკვდილოდ უნდა ამ საქმეს უყუროს ისე, როგორც შემოსავლიან ადგილს, როგორც იჯარას. რაკი ერთმა აიღო იჯარა, სხვას იქ ხელი აღარა აქვს. თუ რომ ერთის მაზრის ავადმყოფები იჯარით გაუციათ ერთს ექიმზე, მეორემ ხელი უნდა აიღოს იქაურობაში მკურნალობაზე, გინდა კიდეც მომაკვდავისა ჰხედავდეს და შველას ეხვეწებოდნენ. „ფოდრათია“, რაღა!

თუ მართლა ასეა საქმე, მაშინ, რასაკვირველია, ბ-ნი ერისთავი უნდა გაჰშორდეს ოზურგეთსა და იმის მაზრას, ან არა და, ეცადოს, ეგებ იმას შეჰხვდეს ეს „ფოდრათი“. აქ გასამტყუნარი არავინ არის.

თუ სხვა ნაირად უნდა ჩავთვალოთ ექიმობა და ხალხისათვის მართლა სასარგებლო ხელობად მივიჩნიოთ, მაშინ... მაგრამ რას იტყვი აქა. სულ დავთრები დამაკარგვინა ამ ამბავმა. ეჰ, ისევ ის გვირჩევნია, თავი დავანებოთ ამისთანა სადავიდარაბო რამერუმეებსა.

**

ყველაზე საამური და გულ-გასაყოლებელი ამბები ჩვენებურს კანცელარიებში მოხდება ხოლმე. დაჯე და უყურე, მანამ მოგწყინდებოდეს. მერე მოგწყინდება-კი? შენც არ მომიკვდე. ზოგიერთს კანცელარიაში სწორედ სასწაულთ-მოქმედებასა ჰნახავთ. მაგალითად, მეტი სასწაული-ღა გინდათ, რომ ქაღალდებს ფრთები ესხმებოდეთ და მიჰფრინავდნენ! აბა, რაი არს ქაღალდი?—ქაღალდი არს უსულო, უძლო, უფხო, ქმნილება კაცთა ხელისა და სხვა არაფერი. ქაღალდი ფრინველი არ არის და ფრენა-კი შეუძლიან, მეტი რაღა გინდათ. ამას თვით გამოეშმაკებული ამერიკელებიც ვერ მოიგონებენ, და ზოგიერთ კანცელარიებში-კი მოხერხდება ხოლმე ასეთი საქმე.

ჯერ იყო და შარშან გურიაში, ჩოხატაურის სასამართლოში, ერთი ქაღალდი მაგრა ჩააკერეს საქმეებში და უთხრეს:

ვითა კლდე დამყარებული,
ადგილსა დაემკვიდრეო,
ქარსავით მთა-მთა ნუ დარბი,
ნუცა ქარქეტებრ ჰრბიდეო.

მაგრამ ვინ დაგიჯერა! ის ქაღალდი გამოძვრა თავის თავად საქმეებიდამ და ქარსავითაც დაიწყო სირბილი მთა-მთა და ქარქვეტებრაც. ახლა კიდევ მეორე ქაღალდი გაფრენილა—ესეც თავის თავად და იმავე გურიაში, იმავ ჩოხატაურის სასამართლოდამ. მოდი და ნუ გაგიკვირდება ქვეყნიერობის ამბავი. ისე დღე არ გავა, რომ ახალმა რამემ არ გაგაშტეროს. მართალი უთქვამს დალოცვილს ამ ლექსის მთქმელსა:

არ დაწყნარდება ქვეყანა
და მისი სანახავები.

სანო

ყველა ერთ, ამბობს პრეზიდენტი, ომები კი არა სწადიანთ, მშვიდობიანი წარმატება და წინ-სვლა ჰსურთო.

თუ ასეა, მაშ რაღა უშლის საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებასაო, კითხულობს პრეზიდენტი.

ის უშლისო, განაგრძობს ზემოხსენებული რუსული გაზეთი, რომ ვინც ამბობს, მშვიდობიანობა მსურსო, ისიც-კი საომრად ემზადება. შვეიცარიის პრეზიდენტმაც თავისი სიტყვა წარმოსთქვა იმ დღეობაზედ, რომელიც მეთოფეთა საზოგადოების პატივ-საცემად იყო გამართული. მეთოფეთა საზოგადოებანი-კი შვეიცარიაში საფეხურია საყოველთაო სამხედრო ზეგარისა. გაჭირდება რომ დაადგეს შვეიცარიას, ყველა შეიარაღებული მხედარი იქნება და გამოვა სამშობლოს დასაცველად.

ასე სხვა-და-სხვაობს სიტყვა და საქმე, სურვილი და ცხოვრება. ჯერ ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, სანამ ომი გაუქმდება და სადავიდარაბო საქმეები მორიგებით გადაწყდება.

უცხოეთი

ბოლგარია. პეტერბურგიდგან სწერენ „Journal des Débats“-ს, ვითომ გერმანიის პოლიტიკა ამ მოკლეს ხანში სხვა გზას დაადგებაო და რუსეთს მიემხრობაო. პეტერბურგის სადიპლომატიო წრეებში ჰფიქრობენ, ვითომ ბისმარკს განზრახვა აქვს გერმანიასა და რუსეთს შორის თანხმობა და კავშირი ჩამოაგდოს. რუსეთის ელჩი გერმანიის კარის წინაშე, გრაფი შუვალოვი, რემშლინიდგან დაბრუნდა ბერლინს და დიდის პატივის-ცემით და ყურადღებით მიღებულ იქმნა უმაღლესს წრეებში. ამბობენ აგრეთვე, ვითომ იმპერატორი ვილჰელმი მისწერს წერილს რუსეთის იმპერატორს მის დიდებულების იმპერატრიცას დღეობის გამო 22-ს ივლისს.

ვენის სადიპლომატიო წრეებში ამბობენ, ვითომ სტამბულოვს ამას წინად მიეწეროს პრინცს ბატენბერგისათვის, რომ თუ ვინიცობაა იგი დაუყოვნებლივ არ ჩამოვა სოფიაში, ბოლგარია ცუდ დღეში ჩავარდება საქმეთა აწეწილობის და არევ-დარევის გამო. როგორც ამბობენ, პრინცმა ამაზე განაცხადა, რომ ჯან-მრთელობა და საქმეთა გარემოება ხელს არ მიწყობენ და ამიტომაც მაგ გვარს წინადადებას ვერ მივიღებო. იმასაც ლაპარაკობენ, რომ დელეგატები, რომლებსაც ვითომ და სრულიად არაფრად დაუჯდათ პრინცი კობურგისა, იმ აზრისანი არიან, რომ ერთადერთი იმედი ბოლგარიისა ისევ ბატენბერგია, რომელიც, გამოჩნდება თუ არა ბოლგარიაში, მკვდრეთით აღადგენს ბოლგარიასაო. აგრეთვე იწერებიან, ვითომ ბოლგარიის საქმე ძალიან საშიშ მდგომარეობაშიაო; სამხედრო მინისტრი ნიკოლაევი ამზადებს მეამბოხეთა რაზმებს. ამიტომაც ჰფიქრობენ, რომ პრინცი კობურგისა ვერ გამოჩნდება სოფიაში, თუმცა ვენაში-კი ძალიანა სცდილობენ, რომ ფერდინანდი გამთავრდეს ბოლგარიაში.

როგორც იუწყებიან, კალჩევი ჩასულა სტამბოლს, რეგენტებს მინდობილობით, იმ განზრახვით, რომ ჩააგონოს ოსმალეთა ბალკანის სახელმწიფოთა სამშვიდობოდ, რათა ამ სახელმწიფომ ბოლგარიის მთავრად დაამტკიცოს პრინცი ფერდინანდი კობურგისა და მით მოსპოს ის სისხლის ღვრა, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ბოლგარიის საქმემ.

რეგენტები იმ აზრისანი არიან, რომ შეუძლებელია გაგრძელდეს საქმეთა ასეთი აწეწილი მსვლელობა, და ამიტომაც განზრახვა აქვთ, ფერდინანდი დასვან მთავრის ტახტზე, თუმცა ევროპის დიპლომატიის წარმომადგენლნი უმტკიცებენ მათ, თუ რამდენად შეუძლებელია, ახლანდელ გარემოებათა მიხედვით, ფერდინანდის გამთავრება.

ვენაში მისულა ბოლგარიის შინაგან საქმეთა მინისტრი სტრანსკი, როგორც ამბობენ, იმ განზრახვით, რომ პრინცს ფერდინანდს ჩააგონოს, რათა პრინცი საჩქაროდ წავიდეს ბოლგარიაში.

გაზეთ „Новое Время“-ს აცნობებენ დეპეშით, ვითომ ბოლგარიის მინისტრი ნაჩევიჩი წავიდა ვენაში იმ განზრახვით, რომ ბოლგარიაში წამოიყვანოს პრინცი კობურგისა, რისთვისაც მას თან წაუღია ბოლგარიული მუნდირი ახალის მთავრისათვის. ნაჩევიჩი პრინცს წინადადებას მისცემს ან სრულიად უარი სთქვას მთავრობაზედ, ან და დროებით მაინც წავიდეს ბოლგარიაში და დანიშნოს რეგენტი, რომელმაც უნდა განაგოს ბოლგარიის საქმეები ახალის მთავრის სახელობით იმ დრომდე, როცა ოსმალეთი მას მთავრად დაამტკიცებდეს; შემდეგ ნაჩევიჩი წავა დარმშტადტში და სთხოვს პრინცს ბატენბერგს, ისევე სოფიაში დაბრუნდიო.

გაზეთი „Presse“ იმ აზრისაა, რომ პრინცი კობურგისა უფრო ბეჯითად უნდა მოქმედებდესო. გაზეთის აზრით, მან ან უნდა იმოქმედოს ისე, როგორც შეჰფერის ნამდვილს კანდიდატს მთავრობაზე და მხედველობაში იქონიოს იმ სახელმწიფოთა აზრი, რომლებსაც ხელი უწერიათ ბერლინის ტრაქტატზე, ან და უნდა აღიაროს თავი ბოლგარიის საერო კრების კანდიდატად. ამ შემთხვევაში მან არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციოს სხვა-და-სხვა კანონიერ მოსაზრებათა, რადგანაც ისეთი არავითარი საშუალება არ მოიპოვება, რომლითაც შეიძლებოდეს ბოლგარიის საქმე სრულიად კანონიერად გადაწყდეს.

პრინც ფერდინანდთან დაახლოვებულნი პირნი ამბობენ, რომ საჭირო არ არის პრინცმა დიდს ხანს დაჰყოს ბოლგარიაში. საკმარისი იქმნება, პრინცი ცოტას ხნით წავიდეს ბოლგარიაში და ერთგულობის ფიცი ჩამოართვეს ბოლგარელებს. ამის შემდეგ პრინცს შეუძლიან ევროპაში დაბრუნდეს, გამოეცხადოს სულთანსა და სხვა ხელმწიფეებს, რათა მათგან მიიღოს თანხმობა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ბერლინის ტრაქტატის ძალით.

ძალიან გავრცელებულია ხმა, ვითომ პრინცი კობურგისა არ მოუცდის იმასა, თუ რას იტყვიან ევროპის სახელმწიფონი და საჩქაროდ წავა ტირნოვოს. პრინცს თან ეახლება ნაჩევიჩი, რომელიც სისტოვოდგან აცნობებს ბოლგარებსა და დიდთა სახელმწიფოთა, რომ ახალმა მთავარმა ფეხი შესდგა ბოლგარიაშიო.

წვრილი ამბები

— რამდენიმე სპარსეთიდგან გაგზავნილი კაცი მისულა ამას წინად ბრუსელში და ლაპარაკი ჰქონიათ 200 მილლიონის სესხის გამო, რომელიც სპარსეთში რკინის-გზის გასაყვანად უნდა ესესხნათ, მაგრამ ბრუსელის ფულის-პატრონებს ვერ მოჰრიგებიან და ახლა პარიჟში წასულან ამავე განზრახვით.

— საზოგადოდ იმის გამო, რომ დეპეშათა სადგურის მოხელენი დეპეშათა მიღებისას და გაგზავნის დროს ყურადღებით არ ეპყრობიან თავიანთს საქმეს, ბევრი უბედურება ხდება ხოლმე. აა ერთი კიდევ ამის მაგალითი: ერთს საფრანგეთის ჟურნალის გამომცემელს სენ-მალოში მიუღია მოკლე დეპეშა „თქვენი სიძე გარდაიცვალა (décédé)“. ამ კაცს მართლაც ერთი ავადმყოფი სიძე ჰყოლია და უეჭველია ეს სიძე გარდაიცვლებოდაო, უფიქრნია. ამ უბედურებასთან ამ ვითომდა გარდაცვალებულის ცოლი ფეხ-მძიმედ ყოფილა, დეპეშა გაუხსნია და გულ-შემოყრილი დაცემულა. ქალი დაწოლილა და მკვდარი ყმაწვილი უშობნია; თვითონაც ისე სწყენია ქმრის გარდაცვლა, რომ სამი დღე-ღამე ლოგინად იწვა თურმე და სიკვდილს ებრძოდა. ყველა ეს დავიდარაბა და აღიაქოთი უბრალოდ ატეხილა, რადგან ჟურნალის გამომცემლის სიძე სრულიადაც არ გარდაცვლილა. ამ კაცს ორდენი (décoré) მიუღია. პარიჟის გაზეთები საშინლად ჰკიცხავენ დეპეშათა სადგურების მოხელეებს, რომ უყურადღებოდ ექცევიან თავიანთს საქმეს, თავიანთს მოვალეობას არ ასრულებენ და რამე წამალი უნდა დაედვას მათს ასეთს საქციელსაო.

— აგერ რამდენი ხანია სცდილობენ ისეთი რამ მანქანა მოიგონონ, რომ ეს მანქანა თავის თავად აწყობდეს ასოებს და ასოთ-ამწყობები საჭირონი აღარ იყვნენ, მაგრამ ვერა მოუხერხეს-რა ამ საქმეს. ვიღაც ბ-ნ ალისოვმა მოიგონა რუსეთში, მაგრამ ეს მანქანა მხოლოდ მაშინ არის გამოსაყენებელი და გამოსადეგი, როცა საქმე რიგიანად და სუფთად არ არის შესრულებული. ახლა, გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ის სიტყვით, ბ. გ. სტანკევიჩს მოუგონია ერთ გვარი მანქანა, რომელიც სრულიად აკეთებს თურმე ასოთ-ამწყობის საქმეს. სტანკევიჩი სცდილობს ამ ჟამად მთავრობის წინაშე, რომ იმის მოგონილს მანქანას უპირატესობა ჰქონდეს დათმობილი სხვა ამ გვარ მანქანებთან.

— გაზ. „Progrés de l'Aine“ დაბეჯითებით გადმოგვცემს შემდეგს ასირებულს და საკვირველს ამბავს ჰიპნოტიზმისას. ერთს კაცს დაუძინებია თავის მეგობარი ჰიპნოტიზმის ძალით და უბრძანებია, რომ ორის კვირის განმავლობაში ღვინის სმა შენთვის აღმიკრძალავსო. ამ სიტყვების შემდეგ მძინარე გაუღვიძებიათ. მეორე დღეს ერთი ჭიქა ღვინო მიუწოდებიათ ამ კაცისათვის, ამ კაცსაც გამოურთმევია, მაგრამ პირთან ვეღარ მიუტანია. ამ მდგომარეობაში იყო ორის კვირის განმავლობაში თურმე და თუმცა ძალიანაც უნდოდა ღვინის სმა, მაინც ვერ შეძლო, რადგან ლუდსა, არაყსა, რძეს ჭიქით, ყველაფერს მიიტანდა ხოლმე პირთან და ღვინის მიტანაზედ-კი მკლავი არ ემორჩილებოდა.

— ამერიკის გაზეთები სწერენ, რომ ბრაზილიაში ერთმა სელის მომყვანმა ახირებული საშუალება მოიგონა ხარჯის შესამცირებლადაო. თავის მუშა ზანგების მაგიერ მაიმუნები დააყენა სელის მოკრებისა, გახმობისა, გამზევებისა და სხვათათვის. ამ კაცმა დააჭერინა თურმე რამდენიმე მაიმუნი, გაწვრთნა და ახლა ეს მაიმუნები ზანგებზედ ჩქარა და კარგადაც მუშაობენ და არც დიდი ხარჯი უნდება მათს კვება-შენახვასაო.

გასართობი

ცოლს არავინ ირთავს—ყველანი უცოლოდ დაბერებას აპირებენ. ამდენა ახალგაზდა ქალობა იზრდება და არავინ იცის, ამ საცოდავთ ელირსებათ როდისმე გათხოვება თუ არა. თურმე მარტო ჩვენში არა ყოფილა ასე, რუსეთშიაც ისეთივე დაუდეგარი ყმაწვილ-კაცობაა თურმე, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ „ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო“, და არ ირთავენ ცოლებსა. მაგალითებრ, პეტერბურგში 1881 წლის აღწერით აღმოჩენილა, რომ 154,000 ყმაწვილ-კაცი და 172,000 ახალგაზდა ქალია თურმე, რომელთაც შეუძლიანთ ჯვარის-წერა და შეუღლება. ასე რომ ყველა ამ ახალგაზდათ რომ ჯვარი დაიწერონ, 326,000 ქორწინება უნდა გაჰმართონ. ამ რიცხვიდგან: 1881 წ. 5,739 კაცს დაუწერია ჯვარი, 1882 წ.—5,071 კაცსა, 1883 წ.—6,138 კაცსა, 1884 წ.—6,234 და 1885 წ.—5,978 კაცსა. ორთა-შუა რიცხვითაც რომ 6,000 ქორწინება ვიანგარიშოთ წელიწადში, მაშინაც-კი ის გამოვა ანგარიშით, რომ ასზედ მხოლოდ ორი იწერს ჯვარსა ახალგაზდა. ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში შეიძლება ამ გვარად მხოლოდ 90,000 ახალგაზდა ქალი და კაცი შეუღლდნენ და 230,000 ეხლა ახალგაზდა ქალსა და კაცს-კი 15-ის წლის შემდეგ დრო გაუვა და სამუდამოდ ჯვარ-დაუწერლად უნდა დარჩნენ. რამდენს ყმაწვილს ქალსა და ან გასათხოვარის ქალის დედას ჩაეთუთქება გული, როცა აქ მოყვანილ ციფრებს დაჰხედავს!

**

ლინჩის კანონი ჯერ სრულიად არ გადავარდნილა. მაგალითებრ, გაზეთ „Times“-ის სიტყვით, კალიფორნიის ქალაქს კოლუზში ერთმა ჩინელმა, გვარად ხონტ-დიმ, ერთი კაცი და ქალი მოჰკლა. სასამართლოში ეს კაცი დამნაშავედ იცნეს და სამუდამოდ, სიკვდილამდე ციხეში დაპატიმრება გადუწყვიტეს. ამ გადაწყვეტილებას სასამართლოსას მოთმინებიდგან გამოუყვანია იქ დამსწრენი, ყველანი ფეხზედ წამომდგარან და მოუთხოვნიათ, რომ დამნაშავე ამისთანა საზარელის დანაშაულობის გამო ჩამოხრჩობილ უნდა იქმნასო. სასამართლომ რომ ხალხის თხოვნას ყური არ უგდო, ყველამ იარაღი ამოიღეს თურმე და დაიწყეს ყვირილი, ლინჩის კანონი ვიხმაროთო. მოსამართლე წარმომდგარა და გამოუცხადებია ხალხისათვის, რომ მეც არ მომწონს ასეთი გადაწყვეტილება და უბრალო სასჯელი კაცის - მკვლელისათვის დაწესებული ნაფიც მსაჯულთა მიერ, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ დამშვიდდებით და სასამართლოში სისხლს არ დაღვრითო. ამ სიტყვების შემდეგ დამნაშავე სასამართლოში წაუყვანიათ, მაგრამ მკვიდრთ მაინც თავისი არ დაუშლიათ, შუა-ღამისას შეუმტვრევიათ საპატიმროს კარები, გამოუყვანიათ დამნაშავე და შუა-ქუჩაზე ჩამოუხრჩვიათ. ბოლოს მოსამართლენი მოსულან და დარჩობილის გვამი საპატიმროში წაუღებინებიათ.

დეპეშა

24 ივლისი

პეტერბურგი. პეტერბურგის საბჭოს დადგენილების ძალით ქ. ვერნის მცხოვრებლებს მიეცემათ ექვსი ათასი მანეთი, და ორი ათასი მანეთი კიდევ ქ. კოსტრომის ცეცხლისაგან დაზიანებულ მცხოვრებლებს.

მოსკოვი. გაზეთ „Московскія Вѣдомости“-ში დაბეჭდილია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ინება შემდეგის დეპეშის მიწერა „Московскія Вѣдомости“-ს გამომცემელ განსვენებულ კატკოვის ქვრივ—სოფიო პეტრეს ასულის მიმართ: „ყველა ჭეშმარიტ რუსებთან ერთად ძლიერ და გულითად ვსწუხვართ, რომ თქვენცა და ჩვენც ასეთი კაცი დავკარგეთ. ძლიერი სიტყვა განსვენებულის თქვენის ქმრისა, განმსჭვალული მხურვალე სიყვარულითა სამშობლოსადმი, აძლიერებდა რუსულს გრძნობას და ამხნევებდა საღს აზრს რუსეთისას გაჭირვების დროს. რუსეთი არ დაივიწყებს მისს სამსახურს და ყველანი თქვენთან ერთად ილოცვენ იმის სულის განსასვენებლად“.

კიევი. გუშინ საუნივერსიტეტო ეკკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი კატკოვის მოსახსენებლად; აგრეთვე იმის სახლობას გაუგზავნეს სამძიმარის დეპეშა.

ლონდონი. უცხო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა ქვედა პალატაში, რომ რუსეთთან მორიგების ძალით ავღანისტანის საქმის თაობაზედ, რუსეთის საზღვარი, მართალია, წინ წაიწია ჰერათისაკენ თერთმეტს ეჯზე და ნახევარზე, მაგრამ ამ გარემოებას არა აქვს არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობაო. თუმცა ავღანისტანმა დაუთმო რუსეთს 825 ოთხ-კუთხი ეჯი, სამაგიეროდ-კი მიიღო 770, მაგრამ მოგებაში მაინც ავღანისტანია და ამიტომაც ბრიტანიის კაბინეთის აზრით საქმე სამართლიანად გადაწყდაო.

ფლოტის აღლუმის დროს საკანონერო გემებზე გაიგლიჯა აფეთქებით ნორდენფელდის ზარბაზნები; ოთხი მატროსი დასახიჩრებულ-იქმნა; ბევრნიც სხვანი მეტნაკლებად დაიჭრნენ.

25 ივლისი

პეტერბურგი. იმ ხარჯის შესავსებლად, რომელიც გამოწვეულ იქმნა მუდმივ ხიზნების ყოფა ცხოვრების მოსაწყობად დასავლეთ და ბელორუსიის გუბერნიებში, სახელმწიფოსაბჭომ დაადგინა 63,800 მანეთის მიცემა ყოველ წლივ.

მოსკოვი. გუშინ ლიცეის ეკკლესიაში მ. ნ. კატკოვის მოსახსენებლად ორჯერ გადაიხადეს პანაშვიდი საერო განათლების მინისტრისა, გენერალ-გუბერნატორისა და განსვენებულის მრავალ პატივისმცემელთ თანადასწრობით. ახლად მიცვალებულის ცხედარი განისვენებს მუხის კუბოში, რომელსაც ზემოდამ ოქრო-ქსოვილი აფარია. კუბოს გარემემო მრავალი გვირგვინები აწყვია.

ბელგრადი. იმ სუთის კვირის განმავალობაში, როცა მეფე სხვაგან იქმნება, სახელმწიფოს განაგებს მინისტრთა საბჭო.

რომი. კრისპის დანიშვნა მინისტრ-პრეზიდენტად უკვე გადაწყვეტილია.

პეტერბურგის ბირჟა, 24-ს ივლისს

ფასები:

	მყიდველისა მან. კ.	გამყიდველისა მან. კ.	გაყიდულისა მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— ›	— ›	9 32
ტამოჟნის კუპონები . .	— ›	— ›	180¾
მანათიანი ვერცხლის ფული, ...	— ›	— ›	1 28
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ›	— »	265
— მეორისა	— ›	— ›	253½
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— ›	— ›	99
ქუთაისის ბანკისა . . .	— ›	— ›	99
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . , .	83⅜	— ›	— ›

Дозв. цен. Тиф. 25 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე